



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და  
ინფრასტრუქტურის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

30/12/2016

N 132/ო

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს  
მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მოხელეთა და დამხმარე  
მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა დასახელებების  
განსაზღვრის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე და „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №2623 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 დეკემბრის №2663 განკარგულების გათვალისწინებით,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და განისაზღვროს მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები და თანამდებობათა დასახელებები დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და თანამდებობათა დასახელებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2015 წლის 12 იანვრის №1/ო ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია 2017 წლის 3 იანვრიდან.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

ზურაბ ალავიძე

მინისტრი